



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თულანოვი მახარბეკ საფარის ძე

თულანოვი მახარბეკ საფარის ძე [11. VI. 1880 (ან 1878), სოფ. დურ-დური, ჩრდ. ოსეთი, – 4. VII. 1952, ქ. ორჯონიკიძე (ახლანდ. ვლადიკავკაზი)], ოსი ფერმწერი, გრაფიკოსი, მკვლევარ-ეთნოგრაფი, პუბლიცისტი, ჩრდ. ოსეთის სახ. მხატვარი (1946), საქართველოვნ. დამს. მოღვაწე (1940). 1898 დაამთავრა ვლადიკავკაზის რეალური სასწავლებელი. სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, ხოლო 1907-იდან – მიუნხენის ა. აუბეს სტუდიაში. 1930-იდან მოღვაწეობდა საქართველოში (ცხინვალი). იყო თბილისში დაფუძნებული ოსური გაზ. „ნოგ ცარდი“ („ახალი ცხოვრება“) ერთ-ერთი დამაარსებელი და აქვე გამოუშვა მისი პირველი ნომრები. 1932–52 იყო საქართველო მხატვართა კავშირისა (1934–50 – მისი პრეზიდიუმის წევრი) და 1943–52 – საქართველოვნ. აკადემიის სამხრ. ოსეთის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი და სამეცნ. საბჭოს წევრი. მხატვრულად გააფორმა ნართული ეპოსი, თქმულება ამირანზე, ოსური ხალხ. ზღაპრები და ა. შ. 1900 შექმნა ილუსტრაცია („ტარიელის და ჯიქის შერკინება“), რ-იც შესულია „ვეფხისტყაოსნის“ ადაპტირებულ რუს. გამოცემაში (სანქტ-პეტერბურგი 1901) მასვე ეკუთვნის კომპოზ. დ. არაყიშვილის პორტრეტი (1937). თ-ის პერსონალური გამოფენები მოეწყო თბილისში (1935, 1956, 1962). თ. ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნ. მოღვაწეობას ოსეთისა და კავკ. ხალხის ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ნართული ეპოსის, ხალხ. შემოქმედების ისტორიის და სხვ. დარგში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: უ რ უ შ ა ძ ე ლ., ქართულ-ოსური კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობების ისტორიისათვის (მახარბეკ თულანოვი და საქართველო), თბ., 2009; Х а к и м М., Махарбек Туганов – народный художник Осетии, Орджоникидзе, 1962.

ლ. ურუშაძე